

I დღე

ლექცია (პროფ. ალ. თელია) – 1 აკად. საათი

იმუნოლოგიისა და ალერგოლოგიის თეორიული საფუძვლები

ზოგადი იმუნოლოგიის შესავალი – კლონალური სელექციის თეორია. კომპლემენტის სისტემა. იმუნორეგულაციის მექანიზმები. იმუნური უჯრედების მოძრაობა და ფაგოციტოზი. ჰისტოთავსებადობის ძირითადი კომპლექსი. უჯრედების მიგრაცია. იმუნური პასუხის ძირითადი ტიპები. ლიმფოციტური რეცეპტორები და მათი წარმოქმნა. T და B უჯრედების ჩამოყალიბება-მომწიფება. ანტიგენის პროცესირება და პრეზენტაცია.

ორგანიზმის ალერგიული რეაქტიულობა, ძირითადი ცნებები და კრიტერიუმები; ანტიგენისა და ალერგენის შედარებითი დახასიათება, ალერგენების კლასიფიკაცია. ტუშმარიტი და ფსევდოალერგიული რეაქციები, მათი განვითარების მექანიზმები.

პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობა – 5 აკად. საათი

იმუნიტეტი, მისი როლი ორგანიზმის ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში, იმუნური სისტემის ცენტრალური და პერიფერიული ორგანოები. T და B ლიმფოციტების როლი იმუნურ პასუხში. ჰუმორული და უჯრედული იმუნიტეტის შეფასების მეთოდები. ფაგოციტოზი, მონოციტ-მაკროფაგების როლი იმუნურ პასუხში. კომპლემენტის სისტემის ფუნქციები, აქტივაციის გზები, შეფასების მეთოდები და ტესტები.

ალერგოლოგიური ანამნეზის შეგროვების თავისებურებების გაცნობა, ძირითადი კითხვები, ალერგოლოგიური ანამნეზის შეგროვების მნიშვნელობა სპეციფიკურ დიაგნოსტიკაში.

ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტის გარჩევა.

ბრონქოგამაფართოებელი საინჰალაციო საშუალებების (β_2 -სტიმულატორები, M-ქოლინობლოკატორები) ძირითადი წარმომადგენლები. მათი გამოყენების ტექნიკის შესწავლა. ნებულაიზერთერაპიის ჩატარების მეთოდის ათვისება.

II დღე

ლექცია (ასოც. პროფ. ქ. მაჭავარიანი) – 1 აკად. საათი

ალერგოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა

ალერგოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკის ძირითადი პრინციპები, ალერგოდიაგნოსტიკა ინ ვიტრო და ინ ვივო. სპეციფიკური დიაგნოსტიკის ცნება, მისი ეტაპები.

ალერგიული დაავადებების სპეციფიკური თერაპია: ელიმინაციური თერაპია და ჰიპოსენსიბილიზაცია (იმუნოთერაპია). ცნება იმუნოლოგიური ტოლერანტობის შესახებ. სპეციფიკური ჰიპოსენსიბილიზაციის იმუნოლოგიური მექანიზმები.

ალერგიული დაავადებების არასპეციფიკური თერაპია: ანტიმედიატორული პრეპარატები (ანტიჰისტამინური, ანთისეროტონინული, ანტილეიკოტრიენული და სხვ.), ძირითადი წარმომადგენლები, მათი მოქმედების მექანიზმი, გვერდითი ეფექტები.

მემბრანოსტაბილიზატორები, ანტილეიკოტრიენული პრეპარატები, ძირითადი წარმომადგენლები, მოქმედების მექანიზმი.

იმუნოსუპრესიული (ანტიგენსპეციფიკური და არაანტიგენსპეციფიკური) საშუალებები; კორტიკოსტეროიდები, ძირითადი წარმომადგენლები, მათი მოქმედების მექანიზმი, დანიშვნის სქემები და მოსალოდნელი გართულებები. იმუნომოდულატორები: მიკრობული, ბიოლოგიური, სინთეზური და სხვა. ძირითადი წარმომადგენლები, მათი მოქმედება არასპეციფიკურ რეზისტენტობასა და სპეციფიკურ იმუნურ პასუხზე.

ბიოლოგიური პრეპარატები, მონოკლონური ანტისხეულები, მათი დახასიათება, მოქმედების მექანიზმები.

პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობა – 5 აკად. საათი

ალერგიული დაავადებების სპეციფიკური დიაგნოსტიკის ძირითადი პრინციპების ათვისება.

მუშაობა სპეციფიკური ალერგოლოგიური დიაგნოსტიკის კაბინეტში: კანის სინჯების სხვადასხვა სახეების დემონსტრირება, ცრუ უარყოფითი და ცრუ დადებითი რეაქციების გამორიცხვა ჰისტამინისა და ტესტ-კონტროლის სინჯით, შეფასების კრიტერიუმები .

In vitro სპეციფიკური დიაგნოსტიკა. საერთო და ალერგენსპეციფიკური IgE ანტისხეულების განსაზღვრის ინტერპრეტაცია.

III დღე

ლექცია (პროფ. ალ. თელია) – 2 აკად. საათი

ბრონქული ასთმა, ალერგიული რინიტი

ბრონქული ასთმის განსაზღვრება, მისი პათოგენეზური მექანიზმები

ალერგიული რინიტი, განმარტება, რინიტის ვარიანტები: სეზონური და პერინეალური, მათი გამომწვევი მიზეზები.

პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობა - 4 აკად. საათი

პროვოკაციული სინჯების ჩატარების ძირითადი პრინციპების ათვისება. მათი სახეები: კონიუნქტივალური, ნაზალური, ინჰალაციური, სუბლინგვალური. ჩვენებები და უკუჩვენებები, შეფასების კრიტერიუმები, ინფორმატიულობა, მოსალოდნელი გართულებები.

სწრაფი და შემანარჩუნებელი ეუფილინიზაციის მეთოდის ათვისება და ეუფილინის დოზის შერჩევა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით (ასაკი, წონა, ნიკოტინის მოხმარება, გულის, ღვიძლის უკმარისობა და სხვ.).

ფილტვების გარეგანი სუნთქვის ფუნქციის შესწავლის მეთოდიკა. სპირომეტრიის, სპიროგრაფიის, ზოგადი პლეთიზმოგრაფიის ჩატარების ტექნიკის გაცნობა; ვენტილაციური უკმარისობის (ობსტრუქციული და რესტრიქციული სუნთქვის უკმარისობის) სახეების განსაზღვრა.

ინჰალატორების (სპრეების) გამოყენების ტექნიკის ათვისება. ამორჩევითი სამკურნალო პრეპარატები ორსულობის დროს.

IV დღე

ლექცია (ასოც. პროფ. ქ. მაჭავარიანი) – 2 აკად. საათი

მედიკამენტური ალერგია

წამლისმიერი რეაქციების კლასიფიკაცია და პათოფიზიოლოგია. წამლისმიერი რეაქციების ტიპები: ტოქსიკურობა, აუტანლობა, გვერდითი მოქმედება, იდიოსინკრაზია, წამლისმიერი ალერგია, წამლების ურთიერთქმედება. წამლისმიერი ალერგიების იმუნოლოგიური მექანიზმები და მათი ტიპები.

ანაფილაქსიის განსაზღვრა. ეტიოლოგიური ფაქტორები. პათოგენეზური მექანიზმები. მისი სიმპტომები და ნიშნები. სიკვდილის ძირითადი მიზეზები. გადაუდებელი ღონისძიებები.

შრატის დაავადება. განმარტება, ეტიოლოგიური ფაქტორები, განვითარების მექანიზმი, გამოვლინების ხელშემწყობი ფაქტორები.

ალერგია ლატექსის მიმართ. გავრცელება, განვითარების მექანიზმები, კლინიკური გამოვლინებები.

პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობა - 4 აკად. საათი

წამლისმიერი რეაქციების დროს ანამნეზის, კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების მნიშვნელობა და მათი რაციონალური ჩატარება; პენიცილინით განპირობებული ალერგიის დროს კანის სინჯის მიზანშეწონილობა და ტექნიკა;

ადგილობრივი გაუტკივარების საშუალებებზე რეაქციები; მედიკამენტები და ანაფილაქსიური შოკი.

შრატის დაავადების კლინიკური ფორმები. მოსალოდნელი გართულებები. მკურნალობის ძირითადი პრინციპები დაავადების სიმძიმის მიხედვით. პროფილაქტიკა: შრატის ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანის გამა-გლობულინის გამოყენება, შრატის ეტაპური შეყვანა სხვადასხვა სქემებით.

ლატექსის მიმართ ალერგიის დიაგნოსტიკა: სტანდარტული და არასტანდარტული ლატექსის ალერგენები, კანის სინჯები და პროვოკაციული ტესტები, პროფილაქტიკა. რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია შემცირდეს ლატექსზე განვითარებული ალერგიული რეაქციის რისკი.

მედიკამენტური ალერგიის მკურნალობის ძირითადი პრინციპები. გადაუდებელი თერაპია მედიკამენტური ალერგიის დროს. ანაფილაქსიის მკურნალობის პრინციპები: ადრენალინის კანქვეშა, ინტრამუსკულარული და ინტრავენური შეყვანა, ანტიჰისტამინური პრეპარატები, ინტრავენურად გადასასხმელი სითხეები, ენდოტრაქეული ინტუბაცია, სტეროიდები, ვაზოპრესორული პრეპარატები. ანაფილაქსიის პროფილაქტიკური ღონისძიებები.

V დღე

ლექცია (პროფ. ალ. თელია) - 1 აკად. საათი

რეაქციები კვებით პროდუქტებზე. ატოპიური დერმატიტი. კონტაქტური დერმატიტი.

ურტიკარია. ანგიოშემუპება. ინსექტალერგია

საკვები პროდუქტებით განპირობებული რეაქციები: იმუნური (კვებითი ალერგია) და არაიმუნური ბუნების (საკვები პროდუქტების აუტანლობა). საკვებით გამოწვეული გვერდითი რეაქციების კლასიფიკაცია და კლინიკური მაგალითები. ეტიოლოგია: მაღალი ალერგიული პოტენციალის მქონე საკვები პროდუქტები. ნატურალურ ლატექსსა და ზოგიერთ კვებით პროდუქტს შორის ჯვარედინი რეაქციები და მათი განვითარების მექანიზმი. კვებითი ალერგიის პროფილაქტიკა ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში.

ატოპიური დერმატიტი და ეგზემა. ატოპიური დერმატიტის პათოფიზიოლოგია და გამღიზიანებელი ფაქტორები. გართულებები.

კონტაქტური დერმატიტი. უზრეული ზემოქმედებლობის (მეოთხე ტიპის) რეაქცია. სხვადასხვა ტიპის კონტაქტური დერმატიტის გამოვლინების თავისებურებები და მათი ლოკალიზაცია. კონტაქტური დერმატიტის მკურნალობის ზოგადი პრინციპები.

ურტიკარია. პათოგენეზური მექანიზმები. ეტიოლოგიური ფაქტორები. I, II და III ტიპის რეაქციების და არაიმუნოლოგიური რეაქციების როლი ურტიკარიის განვითარებაში. ურტიკარიის კავშირი სისტემურ დაავადებებთან. სხვადასხვა მიმდინარეობის

ურტიკარია. ანგიოშემუპების ტიპები, პათოგენური მექანიზმები და მკურნალობის სპეციფიკა.

ინსექტალურგია - ეპიდემიოლოგია, მწერის შხამის ორგანიზმში მოხვედრის გზები. სხვადასხვა სახის ნაკბენების კლასიფიცირება და დიფერენცირება (ნორმალური რეაქცია, ადგილობრივი ჰიპერრეაქცია, სისტემური რეაქციები, მოგვიანებითი ტიპის რეაქციები); ატოპიის როლი ინსექტალურგის განვითარებაში, პათოგენები. კლინიკა. დიაგნოსტიკის პრინციპები. გადაუდებელი მკურნალობის პრინციპები.

პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობა - 5 აკად. საათი

კვებითი ალერგიის დიაგნოსტიკის თავისებურებების შესწავლა: ანამნეზი, კლინიკურ-ლაბორატორიული მეთოდები, კანის სინჯები, ალერგენსპეციფიკური IgE ანტისხეულების განსაზღვრა, პროვოკაციული ტესტები, ელიმინაციური დიეტის როლის შესწავლა.

ალერგია მცენარეების, მეტალების, პარფიუმერიისა და სხვა კონტაქტური ალერგენების მიმართ. აპლიკაციური სინჯების მეთოდოლოგია და ჩვენებები. სტანდარტული და არასტანდარტული სააპლიკაციო ალერგენები.

VI დღე

ლექცია (ასოც. პროფ. ქ. მაჭავარიანი) - 1 აკად. საათი

იმუნოდეფიციტები

იმუნოდეფიციტური მდგომარეობები, კლასიფიკაცია (B-უჯრედული იმუნოდეფიციტური დაავადებები - თანდაყოლილი დეფიციტები. X-შეჭიდული (ბრუტონის) აგამაგლობულინემია, T უჯრედული იმუნოდეფიციტური დაავადებები - შიდსი (T-ჰელპერული დეფიციტი), B და T უჯრედული იმუნოდეფიციტური დაავადებები - მწვავე კომბინირებული იმუნოდეფიციტური დაავადებები, ფაგოციტების დისფუნქციით განპირობებული იმუნოდეფიციტური დაავადებები, კომპლემენტის კომპონენტების დეფიციტით განპირობებული მდგომარეობები, ინტერლეიკინური დეფექტები.

იმუნოდეფიციტური მდგომარეობების და ქემოთაქსისური დაავადებების დამახასიათებელი სიმპტომები და ნიშნები.

პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობა - 4 აკად. საათი

პირველადი იმუნოდეფიციტები - კლინიკური სიმპტომები, რომლებიც მიუთითებს ბავშვებში თანდაყოლილი იმუნოდეფიციტის არსებობაზე.

B სისტემის დეფიციტით მიმდინარე დაავადებები: X ქრომოსომასთან ასოცირებული (შეჭიდული) აგამაგლობულინემია. ბრუტონის, თიროზინკინაზას როლი მის განვითარებაში. კლინიკური გამოვლინებები. X ქრომოსომასთან ასოცირებული

აგამაგლობულინემია IgM-ის მომატებით. ლიმფოიდური ქსოვილის ჰიპერტროფია და მუცლის ღრუს ორგანოების სინსივნის განვითარების რისკი. საერთო ვარიანტული იმუნოდეფიციტი.

T სისტემის დეფიციტით მიმდინარე დაავადებები: დი-ჯორჯის სინდრომი, თიმუსისა და პარათირეოიდული ჯირკვლების ჰიპოპლაზია. კლინიკური გამოვლინებები.

T და B სისტემის კომბინირებული დეფიციტები, მძიმე კომბინირებული იმუნოდეფიციტის ფორმები: X-შეჭიდული კომბინირებული დეფიციტები, დიფ. დიაგნოზი. აუტოსომურ-რეცესიული მძიმე კომბინირებული იმუნოდეფიციტი (T და B ლიმფოციტების არარსებობა); ვისკოტ-ოლდრიჩის სინდრომი, გადაცემის გზა, კლინიკურ სიმპტომატრიადა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა; X-შეჭიდული ლიმფოპროლიფერაციული სინდრომი (დუნკანის დაავადება); ატაქსია-ტელეანგიექტაზია.

არასპეციფიკური პირველადი (თანდაყოლილი) იმუნოდეფიციტები - ფაგოციტური სისტემის პირველადი იმუნოდეფიციტი (ბავშვთა ქრონიკული გრანულომატოზი); ჩედიაკ-ჰიგასის სინდრომი, გადაცემის გზა, კლინიკური სინდრომები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა. კომპლემენტის სისტემის თანდაყოლილი დეფექტი. მემკვიდრეობითი კვინკეს შეშუპება. პირველადი იმუნოდეფიციტების მკურნალობის ძირითადი პრინციპები.

მეორადი (შეძენილი) იმუნოდეფიციტები. გამომწვევი ფაქტორები (იმუნური სისტემის დაავადებები; ძვლის ტვინის გენერალიზებული დაზიანება; ინფექციური დაავადებები; ნივთიერებათა ცვლის მოშლა და ინტოქსიკაცია; ეგზოგენური ფაქტორების მოქმედება; იმუნოდეფიციტი მოხუცებულობის დროს); შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი). შეძენილი იმუნოდეფიციტის პათოგენები.

VII დღე – წინასწარი ჩათვლა - 5 აკად. საათი

სტუდენტების შეფასება განხორციელდება ტესტებით და ზეპირი გამოკითხვით: ტესტები – უპირატესად, თეორიული ცოდნის, ხოლო ზეპირი კი - პრაქტიკული უნარჩვენების შეფასების მიზნით. შეფასება აგრეთვე განხორციელდება არაფორმალური დისკუსიების ფორმატში - სტუდენტების ცოდნის შეფასების დიფერენცირებული მეთოდით - ანუ ცალ-ცალკე შეფასდება სტუდენტთა ბაზისური ცოდნა, საგნის ცოდნა, უნარჩვენები, სადიაგნოსტიკო მეთოდოლოგიების ფლობა, კლინიკაში აქტივობა, მეცნიერული ალღო, შემოქმედებითი აზროვნება. ქულობრივი შეფასებისათვის გამოყენებული იქნება Z-სტატისტიკა, რომელიც არის ერთ-ერთი დახვეწილი მეთოდოლოგია საუკეთესო სტუდენტის გამოსავლენად ცოდნის და პრაქტიკული ჩვენების სხვადასხვა ელემენტებზე ორიენტირით დიფერენცირებული შეფასებისას. იგი განსაკუთრებით კარგად ავლენს თითოეულ სტუდენტში ამა თუ იმ ხარვეზს და, მაშასადამე, აქვს პრაქტიკული დატვირთვა.